



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის
შესრულების მიმოხილვა

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები***ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი*

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 9 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	295 727,2	216 458,8	233 640,0
გადასახადები	96 206,8	77 900,0	81 194,3
გრანტები	136 373,9	86 047,7	81 587,4
სხვა შემოსავლები	63 146,5	52 511,1	70 858,3
ხარჯები	203 414,0	145 858,9	121 859,4
შრომის ანაზღაურება	37 400,3	27 475,8	26 356,2
საქონელი და მომსახურება	70 293,8	51 448,9	43 374,5
პროცენტი	4 805,4	2 427,0	2 395,5
სუბსიდიები	23 041,4	17 224,2	12 774,0
გრანტები	15,0	15,0	2,5
სოციალური უზრუნველყოფა	18 508,8	13 646,7	11 630,8
სხვა ხარჯები	49 349,3	33 621,3	25 325,9
საოპერაციო სალდო	92 313,2	70 599,9	111 780,6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	118 086,0	75 563,7	63 622,4
ზრდა	131 086,0	85 383,7	70 517,7
კლება	13 000,0	9 820,0	6 895,3
მთლიანი სალდო	-25 772,8	-4 963,8	48 158,2
ფინანსური აქტივების ცვლილება	-52 650,0	-18 905,7	34 410,2
ზრდა	0,0	0,0	34 410,2
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	34 410,2
კლება	52 650,0	18 905,7	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	52 650,0	18 905,7	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-26 877,3	-13 942,0	-13 747,8
ზრდა	0,0	0,0	0,1
საგარეო	0,0	0,0	0,1
კლება	26 877,3	13 942,0	13 747,9
საშინაო	26 877,3	13 942,0	13 747,9
ბალანსი	0	0	0



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 9 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსულობები	308 727,2	226 278,8	240 535,4
შემოსავლები	295 727,2	216 458,8	233 640,0
არაფინანსური აქტივების კლება	13 000,0	9 820,0	6 895,3
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,1
გადასახდელები	361 377,3	245 184,6	206 125,0
ხარჯები	203 414,0	145 858,9	121 859,4
არაფინანსური აქტივების ზრდა	131 086,0	85 383,7	70 517,7
ვალდებულებების კლება	26 877,3	13 942,0	13 747,9
ნაშთის ცვლილება	-52 650,1	-18 905,8	34 410,4

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის შემოსულობები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 240,535.4 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2023 წლის მთლიანი გეგმიური მაჩვენებლის 77.9%-ია, ხოლო კვარტალთან მიმართებაში 106.3%. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 81,194.3 ათასი ლარი (შემოსულობების - 33.8%), გრანტებისა და ფინანსური დახმარების სახით მიღებულ შემოსავლებზე - 81,587.4 ათასი ლარი (შემოსულობების - 33.9%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 70,858.3 ათასი ლარი (შემოსულობების - 29.5%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) - 6,895.3 ათასი ლარი (შემოსულობების - 2.9%), ვალდებულებების ზრდაზე - 0,1 ათასი ლარი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის




ფაქტიური შემოსულობები

#	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	233,640.0	97.1%
1.1	გადასახადები	81,194.3	33.8%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	81,587.4	33.9%
1.3	სხვა შემოსავლები	70,858.3	29.5%
2	არაფინანსური აქტივების კლება	6,895.3	2.9%
3	ვალდებულებების ზრდა	0.1	0.0%
ჯამი		240,535.4	100%

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები







#	შემოსულობების დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 9 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	295,727.2	216,458.8	233,640.0	17,181.2	107.9%
1.1	გადასახადები	96,206.8	77,900.0	81,194.3	-2,773.0	104.2%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	136,373.9	86,047.7	81,587.4	-3,035.4	94.8%
1.3	სხვა შემოსავლები	63,146.5	52,511.1	70,858.3	7,031.6	134.9%
2	არაფინანსური აქტივების კლება	13,000.0	9,820.0	6,895.3	345.3	70.2%
3	ვალდებულებების ზრდა			0.1	0.1	#DIV/0!
ჯამი		308,727.2	226,278.8	240,535.4	17,526.6	106.3%

მიმდინარე წლის სამ კვარტალში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 77.9%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები წლიურ გეგმასთან მიმართებაში





შემოსავლები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 216,458.8 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 233,640.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 107.9%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

გადასახადები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის იანვარ-სექტემბრის თვეების ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 81,194.3 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 77,900.0 ათასი ლარის 104.2%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 33.8%-ს.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი _ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის იანვარ-სექტემბრის თვეების ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით,



მოხდა ქონების გადასახადის ძირითადი ნაწილის მიღება, რის შედეგადაც ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა – 39,290.7 ათასი ლარი, კერძოდ: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 37,834.3 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) - 974.2 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 127.0 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 15.1 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 340.2 ათასი ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადები - მიმდინარე პერიოდის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 42,900.0 ათას ლარს, საკასო - 41,903.6 ათას ლარს, შესრულდა 97.7%-ით. კერძოდ, გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 15,773.1 ათასი ლარი და გადასახადი იმპორტირებული პროდუქციიდან - 26,130.5 ათასი ლარი.

ფინანსური დახმარება და გრანტები

2023 წლის 9 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 81,587.4 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 86,047.7 ათას ლარს, გეგმა შესრულდა 94.8%-ით.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 81,528.8 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერის სახით - 43,128.3 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 38,223.3 ათასი ლარი (დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №6 და №7) და რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სპეციალური ტრანსფერი - 177.2 ათასი ლარი (ხანძრისა და ხანძრის ჩაქრობის მიზნით გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების გაწევის მიზნით).

ასევე ფინანსური დახმარება მიღებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიმდინარე დანიშნულების გრანტის სახით - 58.6 ათასი ლარი, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით მიმდინარე ევროკავშირის რეგიონული



ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეორე ფაზის ფარგლებში - „მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელი“.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 27.8%-ია.

№	დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 9 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	136,177.2	85,851.0	81,528.8	4,322.2
1.1	კაპიტალური ტრანსფერი	69,490.0	43,538.7	43,128.3	410.4
1.2	სპეციალური ტრანსფერი	66,510.0	42,135.1	38,223.3	3,911.8
1.3	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	177.2	177.2	177.2	
2	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	196.7	196.7	58.6	138.1
2.1	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	196.7	196.7	58.6	
3	უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები				
ჯამი		136,373.9	86,047.7	81,587.4	4,460.3

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2023 წლის 9 თვის საპროგნოზო მოცულობა 52,511.1 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 70,858.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 134.9%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 29.5%-ს შეადგენს.



საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 9,128.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7,982.6 ათასი ლარი) 114.4%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 7,000.5 ათასი ლარი, რაც სამი კვარტლის გეგმის - 6,648.0 ათასი ლარის 105.3%-ს შეადგენს.

- რენტის სახით მიღებულია 2,127.7 ათასი ლარი, რაც სამი კვარტლის გეგმის (1,334.6 ათასი ლარი) 159.4%-ია. აქედან, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 239.5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე - 1,888.2 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 51,394.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (37,978.5 ათასი ლარი) 135.3%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით _ 51,158.6 ათასი ლარი. მათ შორის:

- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) _ 881.2 ათასი ლარი;

- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი _ 1.3 ათასი ლარი;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი _ 3.8 ათასი ლარი;

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი _ 47,191.8 ათასი ლარი, მათ შორის:

- სათამაშო აპარატებიდან _ 22,656.3 ათასი ლარი;

- წამახალისებელი გათამაშებიდან - 296.9 ათასი ლარი;

- სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან - 300,0 ათასი ლარი;

- სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 23,938.6 ათასი ლარი;

- ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 232.4 ათასი ლარი;




- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის _ 2,848.1 ათასი ლარი;

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან _235.9 ათასი ლარი;

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 8,798.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5,650.0 ათასი ლარის) 155.7%-ია.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებულის სახით მობილიზებულია 1,536.9 ათასი ლარი, რაც სამი კვარტლის გეგმის (900.0 ათასი ლარის) 170.8%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები





ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

	2023 წლის გეგმა	2023 წლის 9 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
სხვა შემოსავლები	63,146.5	52,511.1	70,858.2
შემოსავლები საკუთრებიდან	9,120.0	7,982.6	9,128.2
პროცენტები	7,290.0	6,648.0	7,000.5
რენტა	1,830.0	1,334.6	2,127.7
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	155.0	112.0	239.5
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,675.0	1,222.6	1,888.2
საკონლისა და მომსახურების რეალიზაცია	45,850.0	37,978.5	51,394.5
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	45,850.0	37,978.5	51,158.6
სანებართვო მოსაკრებელი	750.0	560.0	881.2
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0	1.3
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.0	3.8
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	39,800.0	33,468.5	47,191.8
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0.0	0.0	232.4
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	5,300.0	3,950.0	2,848.1
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	235.9
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0.0	0.0	235.9
ჯარიმები, სანქციები და საურავები	7,000.0	5,650.0	8,798.6
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	1,176.5	900.0	1,536.9

არაფინანსური აქტივების კლება

2023 წლის 9 თვის განმავლობაში არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსულობა 6,895.3 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 9,820.0 ათასი ლარის 70.2%-ია. საიდანაც შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან მიღებულია - 6,847.6 ათასი ლარი, შემოსულობა მიწაზე უფლების



აღიარებიდან 20.8 ათას ლარი, მატერიალური მარაგებიდან -25.0 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი აქტივებიდან - 1.8 ათასი ლარი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება


ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების (კლება გამოყენება) გეგმიური მაჩვენებელი - 18,905.7 ათასი ლარით იყო განსაზღვრული, ფაქტიურმა მაჩვენებელმა (ვალუტა და დეპოზიტების ზრდა) შეადგინა 34,410.2 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ნაშთმა შეადგინა 87,226.1 ათასი ლარი, წლის დასაწყისისათვის (თავისუფალი ნაშთი) არსებული ნაშთის გათვალისწინებით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა შემდეგნაირად გამოიყურება (იხილეთ დიაგრამა):

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ქრილში




ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ქრილში

#	გადასახდელების დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 9 თვე			
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	28,473.1	20,787.2	16,504.2	79.4%	8.6%
1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	11,293.7	8,359.3	6,939.0	83.0%	3.6%
1.2	საერთო დანიშნულების მომსახურება	11,528.1	9,175.0	6,410.1	69.9%	3.3%
1.3	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	5,573.9	3,195.5	3,155.1	98.7%	1.6%
1.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	77.4	57.4	0.0	0.0%	0.0%
2	თავდაცვა	20.0	15.0	6.8	45.3%	0.00%



3	ეკონომიკური საქმიანობა	88,642.2	58,690.1	52,392.0	89.3%	27.2%
3.2	ტრანსპორტი	87,593.6	57,862.4	51,722.5	89.4%	26.9%
3.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1,048.6	827.7	669.5	80.9%	0.3%
4	გარემოს დაცვა	28,912.4	22,458.2	20,683.4	92.1%	10.8%
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	16,104.5	12,090.0	11,580.4	95.8%	6.0%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	12,807.9	10,368.2	9,103.0	87.8%	4.7%
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	70,228.3	45,357.3	35,913.8	79.2%	18.7%
5.1	ბინათშენებლობა	28,007.1	23,420.5	17,935.7	76.6%	9.3%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	18,273.0	11,308.1	9,218.0	81.5%	4.8%
5.3	წყალმომარაგება	4,200.0	44.7	0.0	0.0%	0.0%
5.4	გარე განათება	9,205.3	6,277.9	5,212.7	83.0%	2.7%
5.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	10,542.9	4,306.1	3,547.4	82.4%	1.8%
6	ჯანმრთელობის დაცვა	7,267.3	5,274.8	4,947.4	93.8%	2.6%
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	48,618.5	30,130.8	24,844.7	82.5%	12.9%
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	37,570.8	20,849.1	17,224.3	82.6%	9.0%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	10,700.7	9,039.9	7,471.2	82.6%	3.9%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	347.0	241.8	149.2	61.7%	0.1%
9	განათლება	41,643.2	32,739.9	24,624.8	75.2%	12.8%
10	სოციალური დაცვა	20,694.9	15,789.2	12,460.3	78.9%	6.5%
გადასახდელების ჯამი		334,499.9	231,242.5	192,377.4	83.2%	100%

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის კრილში (გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 20,787.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 16,504.2 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 79.4%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), მუნიციპალური საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების, ელექტრონული სერვისების დანერგვისა და განვითარების, თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის, საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 8.6%-ს.

თავდაცვის სფეროზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 6.8 ათასი ლარით, გეგმა შეადგენდა 15.0 ათასი ლარი, ამ სფეროში გაერთიანებულია წვევამდელთა ტრანსპორტირების ხარჯები.



ეკონომიკური საქმიანობისთვის დაგეგმილი იყო 58,690.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 52,392.0 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 89.3%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 27.2%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობის, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და კაპიტალური მშენებლობის, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარების და მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ხარჯებს.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 22,458.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 20,683.4 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 92.1%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის, კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 10.8%-ია.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, ქალაქის გაფორმების ღონისძიებების, ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის, უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების, დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებების და ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს ხარჯები, სამი კვარტლის გეგმა შეადგენდა 45,357.3 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 35,913.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 79.2%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 18.7%-ს.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 5,274.8 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 4,947.4 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 93.8%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2.6%-ს. მასში



გაერთიანებულია მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფის, მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურების, ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობის, შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაციის, ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენციისა და რეაბილიტაციის, ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარების, მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების, ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგის და თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 30,130.8 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 24,844.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 82.5%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12.9%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრის, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის, ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"-ს, ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბის, კულტურული ღონისძიებების მართვის, ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის, საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერის, კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის, ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღის, ფოლკლორის ხელშეწყობის, თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობის, ხელოვანთა ხელშეწყობის, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის, ახალგაზრდული ცენტრის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ხარჯები.



განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 32,739.9 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 24,624.8 ათას ლარს, ანუ გეგმის 75.2%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის, სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის, ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის, ასევე საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12.8%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 15,789.2 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 12,460.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 78.9%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 6.5%-ს. იგი მოიცავს კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირების, მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის, მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა-უზრუნველყოფის, მუნიციპალური უფასო სასადილოს, მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობისა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირების, დროებითი ღამის თავშესაფარის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურების და ერთჯერადი მატერიალური დახმარების ხარჯებს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:



#	გადასახდელის დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 9 თვე			
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრუ- ლების %	%-ლი წილი
1	შრომის ანაზღაურება	37,400.3	27,475.8	26,356.2	95.9%	12.8%
2	საქონელი და მომსახურება	70,293.8	51,448.9	43,374.5	84.3%	21.0%
3	პროცენტი	4,805.4	2,427.0	2,395.5	98.7%	1.2%
4	სუბსიდიები	23,041.4	17,224.2	12,774.0	74.2%	6.2%
5	გრანტები	15.0	15.0	2.5	-	0.0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	18,508.8	13,646.7	11,630.8	85.2%	5.6%
7	სხვა ხარჯები	49,349.3	33,621.3	25,325.9	75.3%	12.3%
8	არაფინანსური აქტივები	131,086.0	85,383.7	70,517.7	82.6%	34.2%
9	ვალდებულებები	26,877.3	13,942.0	13,747.9	98.6%	6.7%
გადასახდელის ჯამი		361,377.3	245,184.6	206,125.0	84.1%	100.0%

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 26,356.2 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 12.8%-ია.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 43,374.5 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 21.0%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 2,395.5 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 1.2%-ია.

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 12,774.0 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 6.2%.


გრანტების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 2.5 ათას ლარს.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 11,630.8 ათასი ლარი, მთლიანი მოცულობის 5.6%.

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 25,325.9 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 12.3%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 70,517.7 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების - 34.2%-ია.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 13,747.9 ათასი ლარი, ხვედრითი წილი _ 6.7%-ია.



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში

პროგრამულ ჭრილში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:

კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 9 თვე		
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	43,882.3	25,599.2	23,848.7	93.2%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2,932.4	2,236.0	1,870.7	83.7%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	7,867.5	5,759.3	5,068.2	88.0%
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	32,451.2	17,137.5	16,903.0	98.6%
01 04	სარეზერვო ფონდი	416.8	287.0	0.0	0.0%
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	77.4	57.4	0.0	0.0%



01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	20.0	15.0	6.8	0.0%
01 07	საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება	40.0	30.0	0.0	0.0%
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება	77.0	77.0	0.0	0.0%
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	170,626.6	113,573.9	96,784.0	85.2%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	67,764.4	45,295.5	41,870.5	92.4%
02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	29,034.5	18,844.8	15,064.6	79.9%
02 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	17,007.9	10,412.9	9,103.0	87.4%
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია-დემონტაჟი	39,093.4	30,408.8	23,722.7	78.0%
02 05	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	851.9	631.0	612.5	97.1%
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	9,713.2	6,209.7	5,011.3	80.7%
02 07	ქალაქის კეთილმოწყობა	7,161.3	1,771.2	1,399.4	79.0%
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	42,922.3	25,297.4	22,366.8	88.4%
03 01	ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება	16,104.5	12,090.0	11,580.4	95.8%
03 02	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	26,817.8	13,207.4	10,786.4	0.0%
04 00	განათლება	41,643.2	32,739.9	24,624.8	75.2%



04 01	სკოლამდელი აღზრდა განათლება	41,468.2	32,644.9	24,543.3	75.2%
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	175.0	95.0	81.5	0.0%
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	0.0%
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	21,800.7	16,923.4	14,058.3	83.1%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	7,288.7	5,444.2	4,505.9	82.8%
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	3,464.3	2,197.5	1,932.0	87.9%
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	4,582.3	3,802.8	3,065.0	80.6%
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	3,835.2	2,981.9	2,586.8	0.0%
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	2,283.2	2,255.2	1,819.4	80.7%
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	347.0	241.8	149.2	0.0%
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	28,807.3	21,699.0	17,975.3	82.8%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	7,162.3	5,196.2	4,872.3	93.8%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	20,694.9	15,789.2	12,460.3	78.9%
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	950.1	713.6	642.7	90.1%
07 00	ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება	1,804.0	1,804.0	393.8	21.8%
07 01	ქალაქის ურბანული განვითარება	1,607.3	1,607.3	336.9	21.0%



07 02	ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	196.7	196.7	56.9	-
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	9,890.8	7,547.7	6,073.2	80.5%
08 01	მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება	9,890.8	7,547.7	6,073.2	80.5%
08 02	თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება	0.0	0.0	0.0	-
გადასახდელების ჯამი		361,377.2	245,184.5	206,124.9	84.1%

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით დეტალურად მოცემულია დანართის [\(დანართი №4\)](#) სახით.

ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 3,100.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0.9%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში.

2023 წლის 9 თვეში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 2,683,195 ლარი შეადგინა, დეტალური ინფორმაცია ცხრილის [\(დანართი №1\)](#) სახით თან ერთვის ანგარიშს.

ადგილობრივი ბიუჯეტის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შეიქმნა წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი 200 000 ლარის ოდენობით, 2023 წლის 9 თვეში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ფონდიდან გამოყოფილ იქნა 122,573 ლარი, დეტალური ინფორმაცია ცხრილის (დანართი №2) სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის შემოსულობების (დანართი №3) და გადასახდელების (დანართი №4 შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების 2023 წლის ბიუჯეტების შესრულების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი №5).

ინფორმაცია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ
(2023 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით)

№	ბრძანება		დასახელება	ორგანიზაციული კლასიფიკაციის მუხლი	შინაარსი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი
	თარიღი	№					
1	2	3	4	5	6	7	8
სარეზერვო ფონდის მოცულობა						3,100,000	
1	25.01.2023	814.14230253	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (2023 წლის 13 იანვრის ოქმი №1) მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით	6,980	6,980
2	30.01.2023	814.142303010	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ნონა ხალვაშის ოჯახისათვის მატერიალური დახმარების (2023 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით ბინის ქირით უზრუნველყოფა) გაწევის მიზნით	10,800	8,100
3	30.01.2023	814.14230309	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქ. ბათუმში მცხოვრები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გარდაცვლილი, შინდისის გმირის რომან ზოიძის ოჯახის დროებითი საცხოვრებელი (2023 წლის იანვარი-დეკემბერი) უზრუნველყოფის მიზნით	6,000	4,500
4	01.02.2023	814.14230323	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების მიზნით (2023 წლის 24 იანვრის ოქმი №1)	253,117	237,285
5	07/02/23	814.14230389	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2023 წლის 30 იანვრის ოქმი №02	124,000	123,300
6	14/02/23	814.142304556	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების მიზნით (2023 წლის 07 თებერვლის ოქმი №2)	150,085	145,580
7	01.03.2023	814.142306026	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების მიზნით (2023 წლის 20 თებერვლის ოქმი №3)	58,687 61,692	58,687 48,641
8	06.03.2023	814.1423065001	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2023 წლის 27 თებერვლის ოქმი №03, სტიქიური მოვლენების ნაწილი)	3,737	3,737
9	16.03.2023	814.142307512	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების მიზნით (2023 წლის 09 მარტის ოქმი №4)	204,478 59,384	204,478 47,521

№	ბრძანება		დასახელება	ორგანიზაციული კლასიფიკაციის მუხლი	შინაარსი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი
	თარიღი	№					
1	2	3	4	5	6	7	8
10	29/03/23	ბ14.1423088001	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქ. ბათუმში ნ. შაშიკაშვილის №94-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებული თამარ ძირკვაძის ოჯახისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2023 წლის 22 მარტის ოქმი №06)	1,426	1,426
11	31/03/2023; 20/06/2023	ბ14.14230902; ცვლილება ბ14.14231717	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების მიზნით (2023 წლის 24 მარტის ოქმი №5)	220,473	220,473
						78,862	65,543
12	19/04/23	ბ14.14231099	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2023 წლის 07 აპრილის ოქმი №8)	75,930	74,330
13	02.05.2023; 08.05.2023	ბ14.14231227; ცვლილება - ბ14.142312813	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ დასახვა პირთა მატერიალური დახმარების მიზნით (2023 წლის 20 აპრილის ოქმი №6)	215,554	215,554
						92,188	65,169
14	05/05/23	ბ14.14231252	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2023 წლის 20 აპრილის ოქმი №9)	90,644	90,644
15	19/05/23	ბ14.14231393	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ დასახვა პირთა მატერიალური დახმარების მიზნით (2023 წლის 11 მაისის ოქმი №7)	100,002	100,002
						53,763	40,212
16	24/05/23	ბ14.14231443	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2023 წლის 10 მაისის ოქმი №10, სტიქიური მოვლენების ნაწილი)	11,020	11,020
17	12/06/23	ბ14.142316323	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2023 წლის 24 მაისის ოქმი №11)	28,122	28,122
18	22/06/23	ბ14.14231732	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2023 წლის 19 ივნისის ოქმი №14, სტიქიური მოვლენების ნაწილი)	10,248	10,248
19	27/06/23	ბ14.14231786	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების მიზნით (2023 წლის 12 ივნისის ოქმი №8)	128,228	128,228
						81,167	70,405
20	06/07/23	ბ14.14231872	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2023 წლის 22 ივნისის ოქმი №15, სტიქიური მოვლენების ნაწილი)	3,600	3,600

№	ბრძანება		დასახელება	ორგანიზაციული კლასიფიკაციის მუხლი	შინაარსი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი
	თარიღი	№					
1	2	3	4	5	6	7	8
21	07/07/23	ბ14.14231882	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ტიტე კომახიძის ოჯახისათვის მატერიალური დახმარების (შვიდი თვის ბინის ქირის თანხის დაფარვა) გაწევის მიზნით	8,400	4,800
22	19/07/23	ბ14.142319910	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები თამაზთურმანიძის ოჯახისათვის მატერიალური დახმარების (სამი თვით ბინის ქირის უზრუნველყოფა) გაწევის მიზნით	6,000	6,000
23	19/07/23	ბ14.14232009	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ დასხვა პირთა მატერიალური დახმარების მიზნით (2023 წლის 11 ივლისის ოქმი №9)	109,528	109,128
						63,891	41,428
24	24/07/23	ბ14.1423205001	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლებისა დასტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2023 წლის 12 ივლისის ოქმი №17, სტიქიური მოვლენების ნაწილი	93,436	56,836
25	07/08/23	ბ14.142321910	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2023 წლის 27 ივლისის ოქმი №18 და 2023 წლის 03 აგვისტოს ოქმი №19; სტიქიური მოვლენების ნაწილი)	11,000	11,000
26	15/08/23	ბ14.142322710	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების მიზნით (2023 წლის 2 აგვისტოს ოქმი №10)	108,245	108,245
						56,270	
27	06/09/23	ბ14.14232497	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების მიზნით (2023 წლის 31 აგვისტოს ოქმი №11)	38,363	38,363
						51,723	
28	13/09/23	ბ14.14232564	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2023 წლის 07 სექტემბრის ოქმი №20)	6,152	6,152
სულ ხარჯი						2,683,195	2,395,738
ნაშთი						416,805	

ინფორმაცია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ (2023 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით)

№	ბრძანება		დასახელება	ორგანიზაციული კლასიფიკაციის მუხლი	შინაარსი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი
	თარიღი	№					
1	2	3	4	5	6	7	8
ფონდის მოცულობა						200,000	
1	16.02.2023	814.142304715	საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა	02 06 03	ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2022 წლის 17 ოქტომბრის (საქმე №010210018002106945) სააღსრულებლო ფურცლის აღსრულების მიზნით	700	700
2	22.02.2023	814.142305310	მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	06 02 04	მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების ფარგლებში ღონისძიების დაფინანსება (მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება)	30,888	30,888
			საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა	06 02 07	საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის ფარგლებში დამოუკიდებელი ცხოვრების დღის ცენტრის სუბსიდირება	6,729	6,729
			ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია	06 01 06	ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია (ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება)	400	400
3	24.02.2023	814.14230555	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა	06 01 01	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი - 06 01 01) ფარგლებში, მიმწოდებელზე ასანაზღაურებელი თანხის შეუფერხებლად ანაზღაურების მიზნით	796	795
4	16.06.2023	814.142316719	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა	02 01 02	ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 21 ნოემბრის საქმე №010310018002445541 და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 ივლისის საქმე №010210118002505683 გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით	36,095	36,094
			ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	01 02		250	250
5	09.08.2023	814.14232214	საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	04 01 02	ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 13 ივლისის განჩინებითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის განჩინების (საქმე №010210019002853707)გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით	9,115	9,113
6	15.09.2023	814.14232587	საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა	02 06 03	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების (საქმე №3/465-17), ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების (საქმე №3/-365-21), საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 10 მაისის განჩინების (საქმე №ბს-1217 (კ-21)) აღსრულების მიზნით	37,600	37,600
სულ ხარჯი						122,573	122,569
ნაშთი						77,427	

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები
(2023 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით)

